



სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლა“ - კორპორატიული ხარისხის პოლიტიკა

**ორგანიზაციის მისია** - საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველსაყოფად საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლედ დასანიშნი პირის – იუსტიციის მსმენელის პროფესიული მომზადება, მოქმედი მოსამართლის პროფესიული სრულყოფისათვის მისი გადამზადება, აგრეთვე მოსამართლის თანამშემწეობის კანდიდატისა და სხვა სპეციალისტების მომზადება-გადამზადება.

**სკოლის მიზანია** უზრუნველყოს იუსტიციის მსმენელის თეორიული ცოდნის გაღრმავება და პრაქტიკული მუშაობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება, აგრეთვე იუსტიციის მსმენელის მიერ მომავალი პასუხისმგებლობისა და კანონით დადგენილ ფარგლებში მოქმედების თავისუფლების შეცნობა, ხელი შეუწყოს იუსტიციის მსმენელის თანდათანობით ინტეგრაციას იმ სოციალურ გარემოში, რომელშიც მას, როგორც მოსამართლეს, მომავალში მოუწევს საქმიანობა.

**ხარისხის პოლიტიკა** - არსებული მომსახურების გაუმჯობესებით, საკანონმდებლო რეგულაციების ფარგლებში, ორგანიზაცია ცდილობს ხარისხის შენარჩუნების და მომსახურების მრავალფეროვნების გაზრდის ხარჯზე განახორციელოს სერვისი, რომელიც ყოველთვის აჭარბებს დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.

ხარისხის პოლიტიკის შესრულებისათვის ორგანიზაციას განსაზღვრული აქვს **მიზნები და სტრატეგიული მიმართულებები** საქმიანობის სფეროში. მიზნების და სტრატეგიის სწორად განსახორციელებლად ორგანიზაცია იყენებს დანერგილ ხარისხის მენეჯმენტის სისტემას, რომელიც საუკეთესო მხარდამჭერია მართვის პროცესების ეფექტიანობის, შედეგიანობის მუდმივი გაუმჯობესების, ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიის სწორი დაგეგმვის და დაინტერესებულ მხარეებზე ზუსტი ორიენტირებისათვის.

ხარისხის პოლიტიკის განხორციელებისათვის ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნებია:

- საგანმანათლებლო საქმიანობის გაფართოება და ნებადართული შემოსავლების მუდმივი ზრდა;
- შიდა პროცესების გაუმჯობესება;
- განხორციელებული პროგრამების და სასწავლო სერვისების ხარისხის გაუმჯობესება;
- დაინტერესებული მხარეების კმაყოფილების დონის გაუმჯობესება;
- მასწავლებლების, ტრენერებისა და პერსონალის კვალიფიკაციის მუდმივი ზრდა;
- მასწავლებლების, ტრენერებისა და პერსონალის მოტივაციის ზრდა;
- ხარისხის მართვის სისტემის ეფექტიანობისა და შედეგიანობის მუდმივი გაუმჯობესება.

**დამტკიცებულია:**

სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის“ დირექტორი \_\_\_\_\_

01/09/2019 წელი

ვერსია: 01